

შპს „ეკო ბოჰემია“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის პერიოდისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ზოგადი ინფორმაცია	5
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
ძირითადი საშუალებების აღრიცხვა	11
განმარტებითი ცხრილები	12-14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2022	01.01.2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	11880379	10509745
საინვესტიციო ქონება		
ბიოლოგიური აქტივი		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	11880379	10509745
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	94224	152588
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1427026	845950
	91134	77959
სხვა არამატერიალური აქტივები		
მარაგები	1083050	1242769
მზა პროდუქცია	545023	927608
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	0	0
	3240457	3246874
მთლიანი აქტივები	15120836	13756619
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	7175000	4867000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-2311680	-3383060
	4863320	1483940
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
	682990	
გრძელვადიანი სესხები		556654
	682990	556654
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9145486	11376618
საგადასახადო ვალდებულებები	0	29172
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	27872	35939
		11716025
მთლიანი ვალდებულებები	10068787	12272679

სრული შემოსავლის ანგარიშგება	31.12.2022
ამონაგები	6442155
თვითღირებულება	(3590232)
საერთო მოგება	2851922
სხვა შემოსავლები	565706
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი და მიწოდების დანახარჯები	(2346248)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	0
საოპერაციო მოგება	1071380
ფინანსური შემოსავალი	
ფინანსური ხარჯი	(0)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(0)
მოგება დაბეგვრამდე	0
მოგების გადასახადი	
პერიოდის მოგება	1071380

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	
1.1 მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	7464991
1.2 მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(8667835)
1.3 გაცემული ხელფასები	(920122)
1.5 ფულადი სახსრების ანგარიშებს შორის გადაადგილება	0
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	(2122966)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
2.1 ძირითადი საშუალებების შესყიდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება	(1360536)
2.2 ძირითადი საშუალებების გაყიდვა	91586
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(3391916)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
3.1 მიღებული სესხები	2317398
3.2 საწესდებო კაპიტალში ფულის შემოსვლა	1506574
3.3 სესხის ძირითადი თანხის დაფარვა	(21191063)
3.4 სესხის პროცენტის დაფარვა	(83449)
3.5 საკურსო სხვაობა	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(0)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	0
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	0
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	0

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეკო ბოჰემია“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას („კომპანია“) (ს/ნ 404 579 639), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ფაქტობრივი ადგილია საქართველო, მცხეთის რ-ნი სოფ.წეროვანი.

საწარმოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს პლასტმასის საფუთავების,ანტისეპტიკური და სადეზინფექციო ხსნარების,საპნის და სარეცხი საშუალებების, ჭურჭლის სარეცხი და მინის საწმენდი საშუალებების წარმოება და რეალიზაცია;ამასთან კომპანია ეწევა სასაწყობე და საწარმოო ფართების იჯარით გაცემას.

კომპანიის დირექტორია ალექსანდრე ჭოლოკავა.

კომპანიის პარტნიორები/დამფუძნებლები:

ვაჟა კიკნაველიძე, 580923/1956, 45868074 /ჩეხეთის რესპუბლიკა/ - 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა კი ძირითადად ემთხვევა მყიდველზე იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას.

მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის მიერ ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მსს ფასს-ის (29-ე განყოფილება) მიზნებისათვის მოგების გადასახადი მოიცავს ყველა ადგილობრივ თუ უცხოურ გადასახადს, რომლებიც გამოითვლება დასაბეგრი მოგების საფუძველზე.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებისა და გადავადებული გადასახადის ჯამს.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში მიღებულ დასაბეგრ მოგებას.

საბალანსო ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც აქტივი ან ვალდებულება აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზა წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც მოცემულ აქტივს ან ვალდებულებას აქვს მიკუთვნებული საგადასახადო მიზნებისათვის.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით.

საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომლის თანახმად საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ წარმოიქმნება სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება პარტნიორებზე დივიდენდის განაწილების გამოცხადების თარიღისთვის, ხოლო გადასახადის გადახდა, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის განაწილების დროს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა განაწილებული მოგებისა არის სხვა დასაბეგრი ოპერაციები, რომელშიც მსს-ს ფასს-ის მიზნებისათვის ცალკე არ განიხილება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად. შესაბამისად, აღნიშნული ცალკეული დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული სხვა ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმო ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

კომპანია იყენებს ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა	5 %
მანქანა-დანადგარები	20 %
ოფისის აღჭურვილობა	20 %
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20 %
სატრანსპორტო საშუალებები	20 %
სხვა ძირითადი საშუალებები	15 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყონებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ძირითადად ხორციელდება თვის ბოლო სამუშაო დღემდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძველიან ექვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებული მშენებლობა	შენობები	მანქანა-დანად-ები	მშრალი ხსნარის მანქანა-დანად-ები	ავეჯი და ოფისის აღჭურ-ბა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირ. საშუალებები	სულ
01 იანვარი 2021წ.	959731	0	5082406	4509851	343070	195527	77635	59777	11227997
შემოსვლა	0	12000	0	20209	729753	21105	40202	4623	828591
გადაფასება			520000						520000
გასვლა		0		-82784		-2280		(5921)	(90985)
31 დეკემბერი 2021	959731	12000	5602406	4447975	1072823	214352	117837	58479	12485603
ცვეთა / გაუფასურება									
01 იანვარი 2021 წ.			(520795)	(1679038)	(39797)	(88306)	(10543)	(5834)	(2344313)
პერიოდის ცვეთა			(259305)	(12178)	(21606)	(33179)	(9102)	(7891)	(343261)
გაუფასურება									-
გასვლა									
31 დეკემბერი 2021			(780100)	(1691216)	(61403)	(121485)	(19645)	(13725)	(2687574)
წმ. საბალანსო ღირ-ბა									
01 იანვარი 2021 წ.	959731	0	4561611	2830813	303273	107221	67092	53943	8883684
31 დეკემბერი 2021წ	959731	12000	4822306	2756759	1011420	92867	98192	44754	9798029

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: კლებადი ნაშთის მეთოდი
- კომპანიის მიერ აღებული საბანკო სესხის უზრუნველასყოფად არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ დატვირთულია გირავნობით.

• 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	01.01.2022
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	94224	152588
სულ	94224	152588

• 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2022	01.01.2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1089696	483154
გადახდილი ავანსები	337370	361877
მოთხოვნები ბიუჯეტის წინაშე	-	-
სულ	1427066	845031

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022	01.01.2022
ნედლეული და მასალები	1083050	1242769
მზა პროდუქცია	545023	927608
სხვა მარაგები	-	-
სულ	1628073	2170377

8. სესხები

გრძელვადიანი	2022	01.01.2022
საბანკო სესხები	0	0
სესხები ფიზიკური პირისგან	534185	475754
სესხები დაკავშირებული ფიზიკური პირისგან	-	-
	534185	475754

9.სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2022	01.01.2022
სავაჭრო ვალდებულებები	9145486	11376618
სხვა ვალდებულებები	923301	896061
სულ	10068787	12272679

10. ამონაგები

	2022
საქონლის რეალიზაცია	5789517
მომსახურების გაწევა	652638
სულ	6442155

11.სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2022
საკუთროს სხვაობით მიღებული ზარალი	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	565706
სულ	565706

12. ფინანსური დანახარჯები

	2022
პროცენტი ბანკის სესხზე	(83449)

13. მოგება დაბეგვრამდე

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ხარჯად აღიარებულია შემდეგი მუხლები:

	2022
ხარჯად აღიარებული მარაგებისა და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(3590232)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი და მიწოდების დანახარჯები	(2353549)
სულ	(5953781)

14. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს **7 175 000** ლარს.

15. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება.

	2022
შრომის ანაზღაურება მთლიანად	1003671
სულ	1003671

შპს „ეკო ბოჰემია“-ს დირექტორის მინდობილი პირი

ნატო ზუმბაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



59000472952721

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N211458695



რეგისტრაციის თარიღი

30.12.2021 წ

ნოტარიუსი: ნინო ხოფერია

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2

ტელეფონი: +995 32 2 98 70 24

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი მინდობილობა

დღეს, ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაათ დეკემბერს, ჩემთან, ნოტარიუს ნინო ხოფერისთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #28\2, გამოცხადდა ალექსანდრე ჭოლოკავა (დაბ. 29.08.1979წ., რეგ. ქალაქი თბილისი, ტიბაანის ქუჩა, N 41, პირადი #01022007681, პასპორტი 11AA44390), რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „ეკო ბოჰემია“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404579639, იურიდიული მისამართი მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი) დირექტორი (თანახმად ამონაწერის მეწარმეთა რეესტრიდან მომზადებული 08/01/2021წ.) და წარმოადგინა შემდეგი სახის მინდობილობა გაცემული ნატო ზუმბაძის (დაბადებული 25.10.1976წ.; საქართველო, პასპორტი P GEO № 16AB08679; პირადი ნომერი 01024051954) მიმართ და განაცხადა, რომ სურს აღნიშნული მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, ნოტარიუსმა ნინო ხოფერიამ, შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. პირადობა დავადგინე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, უფლებამოსილება შევამოწმე შესაბამისი უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე. ტექსტი მინდობილობის გამცემს წაეკითხა ხმამაღლა ჩემს მიერ, მხარეს აგრეთვე განემარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და მხარემ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა მხარეს, ხოლო ერთი რჩება ნოტარიუს ნინო ხოფერიას არქივში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

სანოტარო საზღაური - 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, მათ შორის 10 (ათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, პ.7, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე და 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად.

მინდობილობა

ქვემოთ ხელისმომწერი, ალექსანდრე ჭოლოკავა (დაბადებული 29.08.1979წ.; საქართველო, პასპორტი P GEO №11AA44390; პირადი ნომერი 01022007681), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შ.პ.ს. „ეკო ბოჰემია“-ს (სათანადო წესით რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი 404579639) დირექტორი თავის წარმომადგენლად ნიშნავს:

ნატო ზუმბაძეს (დაბადებული 25.10.1976წ.; საქართველო, პასპორტი P GEO № 16AB08679; პირადი ნომერი 01024051954),

რათა იყოს შ.პ.ს. „ეკო ბოჰემია“-ს (შემდგომში – „კომპანია“) რწმუნებული (შემდგომში – „რწმუნებული“) და მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოში კომპანიის ინტერესების დაცვის და მესამე მხარეებთან გარიგებების დადების თაობაზე.

კერძოდ, რწმუნებული უფლებამოსილია:

პირველი: კომპანიის სახელით წარადგინოს თხოვნები და განაცხადები; ნებისმიერ შემთხვევაში იმოქმედოს კომპანიის სახელით, სიტყვიერად ან წერილობით. კომპანიის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენლმა დადოს გარიგება.

მეორე: კომპანიის სახელით და მის მაგივრად ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, წერილებს, განცხადებებს და დოკუმენტებს ზოგადად, მათ შორის: საგადასახადო დავალებებს, თავად განსაზღვროს მათი შინაარსი და ყველა არსებითი და არაარსებითი პირობა.

მესამე: იყოს კომპანიის წარმომადგენელი ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, კომპანიის სახელით ნებისმიერ ვალუტაში გახსნას ანგარიშები, აწარმოოს ოპერაციები როგორც ახლად გახსნილ ასევე უკვე გახსნილი საბანკო ანგარიშებიდან, შეზღუდვის გარეშე ისარგებლოს საბანკო დისტანციური პროდუქტებით (სერვისებით) და ინტერნეტბანკით. ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს ანგარიშების გახსნის და სხვა საბანკო პროდუქტებით და სერვისებით სარგებლობის თაობაზე, მიიღოს საკრედიტო და ბიზნეს ბარათები და დისტანციური საბანკო პროდუქტების მართვის მოწყობილობები.

მეოთხე: კომპანიისთვის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინოს კომპანიის ინტერესები ნებისმიერ სახელმწიფო უწყებაში და დაწესებულებაში, ასევე ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობებში. იყოს კომპანიის წარმომადგენელი საწარმოო ბიუროში (ნოტარიუსებთან), საგადასახადო და საბანკო დაწესებულებებში და სახელმწიფო რეგისტრაციის განმახორციელებელ ორგანოებში, სსიპ საჯარო (სამეწარმეო, საჯარო და სამოქალაქო) რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში (მოვალეთა

ჭოლოკავა

რეესტრში), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურში (საგადასახადო (საშემოსავლო) ორგანოებში); კომპანიის სახელით განცხადებით მიმართოს შესაბამის ორგანიზაციას, დაწესებულებასა თუ სახელმწიფო ორგანოს, მოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი/ცნობები.

ასევე რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის ზემოთ აღნიშნული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად და ზიანს არ მიაყენებს მას.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 2021 წლის 30 (ოცდაათი) დეკემბერს და მოქმედებს 2021 წლის 30 (ოცდაათი) დეკემბრიდან 2023 წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრამდე პერიოდში.

შ.პ.ს. „ეკო ბოჰემია“-ს დირექტორი:

ალექსანდრე ჭოლოკავა (პ.ნ. 01022007681) 

